კურსდამთავრებულთა ჩართულობის ხარისხი და გაუმჯობესების შესაძლებლობები განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში

მარიამ კიკნაველიძე

ანა თოფურია

ნიკა ქვრივიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კიკნაველიძე
ანა თოფურია
ნიკა ქვრივიშვილი

18.06.2023

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის სრულ პროცესში ჩართულობისა და აქტიური დახმარებისათვის, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ამავე ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, თამარ ბრეგვაძეს. სწორედ მისი რჩევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა კვლევა და მიიღო ნაშრომმა დასრულებული სახე.

ამასთან, მადლობას ვუხდით განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, პროცესებში ჩართულობისა და აქტიურობისათვის. მათი მოტივაცია და ინიციატივები წარმოადგენდა მნიშვნელოვან საყრდენს ძირითადი ინტერვენციების შემუშავება-განხორციელებისათვის.

ასევე, მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ადმინისტრაციას და განათლების სკოლის ხელმძღვანელს პროექტის მხარდაჭერისა და პოპულარიზებისათვის.

დაბოლოს, მადლობას ვუხდით განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აქტიურ სტუდენტებს პროცესებისადმი მათი ინტერესის, ჩართულობისა და უკუკავშირისათვის.

აბსტრაქტი

კურსდამთავრებულთა ჩართულობის კულტურის ფორმირება სტრატეგიული მნიშვნელობისა და ღირებულების საკითხია როგორც კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე, ინსტიტუციის წინსვლისა და განვითარებისთვის. მსგავი კულტურის ფორმირების მცდელობას წარმოადგენს ნაშრომში მოცემული პრაქტიკის კვლევა, რომელიც ორიენტირებულია ერთი მხრივ უნივერსიტეტის/პროგრამის ჩართულობის უზრუნველყოფის სტრატეგიების, ხოლო მეორე მხრივ, კურსდამთავრებულთა ჩართულობის ფორმების სხვადასხვა დროით განზომილებასა და მათზე მოქმედი ფაქტორების/ცვლადების ანალიზის საფუძველზე, შეისწავლოს და შეაფასოს კურსდამთავრებულთა ჩართულობის ხარისხი და გაუმჯობესების შესაძლებლობები უშუალოდ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

ნაშრომის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციათა სერია კურსდამთავრებულთა ჩართულობის სისტემური და სტრუქტურირებული მოდელის შემუშავებას ისახავს მიზნად, თუმცა, კვლევის შედეგებისა და მიგნებების შედეგად უფრო ფართო, სკოლის/ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ერთეულის დონეზე, ხედვის ფორმირების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: *კურსდამთავრებულთა ჩართულობა, ჩართულობის უზრუნველყოფის სტრატეგიები, ჩართულობის ფორმები, დროითი განზომილება, ჩართულობაზე მოქმედი ფაქტორები.*

Abstract

Creating a culture of alumni engagement holds significant strategic importance and value in advancing and developing both specific educational program and an institution. This thesis presents an action research endeavor that seeks to foster such a culture while focusing on two aspects: engagement strategies at the university/program level, and analysis of alumni engagement forms, along with the various temporal dimensions, factors and variables that influence them. The objective is to assess the quality of alumni engagement within the Education Administration master's program and explore avenues for its enhancement.

The thesis proposes a series of planned and implemented interventions that aim to establish a systematic and structured model of alumni engagement. Nevertheless, the research findings and results serve to empower the formulation of a broader vision at the school, faculty, or university unit level.

Keywords: *Alumni Engagement, Engagement Strategies, Engagement Forms, Dimension of Time, Factors Affecting Engagement*